

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 48

ქ.თბილისი

2021 წლის 26 მაისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 26 მაისს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლაშა თავართქილაძე, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა დიდ 10-ში ასვლა-დარჩენაზე ა/წ 23 მაისს გამართული მატჩის, თბ „არმია“-სა და ქუთაისის „არესი“-ს შორის, მომხდარი ფაქტების შესახებ, წარმოდგენილი მასალები :

- 1) მატჩის მეთვალყურის ნიკა გალუზუნსკაიას მატჩის ოქმი და საითინგი;
- 2) მატჩის ვიდეო-მსაჯის საბა აბულაშვილის საითინგი;
- 3) მატჩის კიდის მსაჯის შოთა ცაგარეიშვილის საითინგი;
- 4) მატჩის მე-4 მსაჯის დათო ლაბაძის საითინგი;
- 5) სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურის მენეჯერის ლუკა კილასონიას საითინგი და მომართვა;

სადისციპლინო კომისიის სხდომას დისტანციურად, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ჩაერთო და საკუთარი პოზიცია დააფიქსირა, კლუბ თბ „არმია“-ს მენეჯერმა ბადრი ბოხუამ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „არმია“-ს მორაგბე ბექა მეკოკიშვილი - მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. თბ „არმია“-ს მორაგბე თენგიზ ჯინაშვილი - მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა.
3. თბ „არმია“-ს მწვრთნელი ლაშა ბაირამაშვილი - მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა.
4. თბ „არმია“-ს მენეჯერი ჯაბა კიზირია - დისკვალიფიკაციის პერიოდში გუნდთან კონტაქტი და მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა.
5. სრკ-ს განვითარების მენეჯერის ბორის ძიმცეიშვილის მხრიდან მატჩის დროს ადგილი ჰქონდა მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერ შეურაცხყოფას და მატჩის შემდეგ სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურის მენეჯერთან სიტყვიერ შეურაცხყოფას და ფიზიკურ დაპირისპირებას, რა დროსაც გამოიყენა ე.წ. ხელკეტი.
6. სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურის მენეჯერის ლუკა კილასონიას მხრიდან მატჩის შემდეგ ადგილი ჰქონდა სრკ-ს განვითარების მენეჯერთან ბორის ძიმცეიშვილთან ფიზიკურ დაპირისპირებას, რომელიც გამოწვეული იყო ამ უკანასკნელის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფით.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „არმია“-ს მორაგბე ბექა მეკოკიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
2. თბ „არმია“-ს მორაგბე თენგიზ ჯინაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
3. თბ „არმია“-ს მწვრთნელი ლაშა ბაირამაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 1 (ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000(ორიათასი) ლარით.
4. თბ „არმია“-ს მენეჯერი ჯაბა კიზირია დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000(ორიათასი) ლარით.
5. იმის გათვალისწინებით, რომ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსი არ არეგულირებს სრკ-ს თანამშრომელთა მიერ დისციპლინარულ დარღვევებს (კერძოდ, სრკ-ს განვითარების მენეჯერის ბორის ძიმციეიშვილისა და სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურის მენეჯერის ლუკა კილასონიას მიერ ჩადენილი დისციპლინარული დარღვევები). სრკ-ს სადისციპლინო კომისია ხელმძღვანელობს სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 4.11 პუნქტით და მიმართავს სრკ-ს პრეზიდენტს შემდგომი რეაგირების მიზნით.
6. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
7. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 26 ივნისამდე.
8. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „არმია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/